<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ერეკლე დანელიას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ერეკლე დანელიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


1:3,000
X=474398 Y=4620723
X=475057 Y=4620688

ერეკლე დანელია
(1956-1993)

აფხაზეთში დაღუპული მებრძოლი, დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის“ და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

დაიბადა ქალაქ თბილისში 1956 წლის 15 ნოემბერს. დააამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიის ფაკულტეტი.

1992 წელს ერეკლე დანელია რუსეთ-საქართველოს ომში, აფხაზეთში მოხალისედ წავიდა. 1992 წლიდან იყო „მხედრიონის“ წევრი.

1992 წლის ნოემბერ-დეკემბერში აქტიური მონაწილეობა მიიღო თანამებრძოლთა მცირე რაზმთან ერთად სეპარატისტთა 24 კაციანი შეიარაღებული დაჯგუფების დატყვევებაში. ისინი უვნებელნი გაცვალეს ტყვედ ჩავარდნილ შინაგანი ჯარის 8 ნაწამებ ჯარისკაცზე.

1993 წლის გაზაფხულზე ერეკლე დანელია მონაწილეობას იღებდა ლაშკენდერის ოპერაციაში. მან ფასდაუდებელი ინფორმაცია მიაწოდა ლაშკენდერის მთაზე დაბანაკებულ თანამებრძოლებს სეპარატისტების ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით. 1993 წლის სექტემბერში, როდესაც სოხუმზე გარხორციელდა მასირებული შეტევა, ერეკლე დანელია სხვა მეომრებთან ერთად სიკვდილზე წავიდა სოხუმის დასაცავად.

დაიღუპა 1993 წლის 22 სექტემბერს ბაბუშარას აეროპოტში თვითმფრინავის აფეთქების შედეგად.

სიკვდილის შემდეგ, 1994 წლის 24 აგვისტოს ერეკლე დანელია დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე.

საერთაშორისო ასოციაცია
„დაიცავი შენი წილი სამშობლო!"

ს/კ 433648369

INTERNATIONAL ASSOCIATION
„PROTECT YOUR HOMELAND!"

E-mail: daicavisamshoblo@gmail.com

N 61

30 03 2021 წ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ერეკლე ჯიმშერის ძე დანელია, დაბადებული 1956 წლის 15 ნოემბერს, ქ.თბილისში, ი. ტურგენევის ქუჩაზე.

დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივესიტეტის ფიზიკის და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიის ფაკულტეტები.

ერეკლე დანელია 1992 წელს, რუსეთ-საქართველოს ომში, აფხაზეთში მოხალისედ წავიდა. მან არა ერთისაბრძოლო გმირობა გამოიჩინა1992-1993 წლებში, ნიშანდობლივ, ოჩამჩირის რაიონში.

1992 წლის ნოემბერ-დეკემბერში, აქტიური მონაწილეობა მიიღო თანამებრძოლთა მცირე რაზმთან ერთად (საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად) სეპარატისტთა 24 კაციანი, შეიარაღებული ჯარისკაცის დატყვევებაში, ისინი უვნებელი და საღ-სალამათი გაცვალეს ტყვედ ჩავარდნილი, შინაგანი ჯარის 8, ტყვეობისას ნაწამებ და დასახიჩრებულ, საქართველოს სამთავრობო ჯარისკაცზე.

1993 წლის გაზაფხულზე, ერეკლე დანელია მონაწილეობას იღებდა ლაშკენდერის ოპერაციაში და მან ფასდაუდებელი ინფორმაციები მიაწოდა ლაშკენდერის მთაზე დაბანაკებულ თანამებრძოლებს, სეპარატისტების ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით. იგი მცირე რაზმთან „ვაჩეს" ბიჭებთან ერთად, სახიფათო დისტანციაზე მიუახლოვდა სეპარატისტების ბანაკს . ერეკლემ გამბედაობით და გონიერებით გამოიჩინა თავი ბესლახუმის, ლაბრის, კინდღის ოპერაციების დროს. სადაზვერვო, მცირერიცხოვანი, „ ვაჩეს „ ჯგუფის შემადგენლობაში ოჩამჩირის დაცვის სხვადასხვა ოპერაციებშიც.

1993 წლის 9 ივლისს, ტამიშის რუსული და ჩრდილოკავკასიური დესანტის განადგურების ოპერაციაში ერეკლე თავში დაჭრა, მაგრამ არ მიუტოვებია პოზიციები და ცეცხლნასროლი ჭრილობის მიუხედავად, მამაცურად მუსრავდა მტერს.

საერთაშორისო ასოციაცია „დაიცავი შენი წილი სამშობლო!"-ს
თავმჯდომარე, თადარიგის პოლკოვნიკი
დარეჯან ბუზუაშვილი

598-91-99-

ზემოაღნიშნული, ერეკლეს თავგანწირვის მცირე ჩამონათვალისათვის, დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისთვის.“

1993 წლის სექტემბერში, როცა სოხუმში მასირებული შეტევა განახორციელეს რუსეთის სპეც. ნაწილებმა სეპარატისტებთან ერთად და სოხუმი, მოსახლეობასთან და სამთავრობო ჯარისკაცებთან ერთად ალყაშიიყო მოქცეული, ერეკლე დანელია, სხვა მეომრებთან ერთად სკივდილზე წავიდა სოხუმის დასაცავად, თუმცა მათ კარგად იცოდნენ, რომ ავიარეისი, რომლითაც ისინი სოხუმისთვის მოფრინავდნენ, განწირული იყო....

1993 წლის 22 სექტემბერს, რუსებმა ბაბუშერას აეროპორტში ჩამოაგდეს ავბედითი თვითმფრინავი, იქ კი, სხვა გმირებთან ერთად, ერეკლე დანელია ცოცხლად დაიწვა. მას სახლში ორი შვილი, მათ შორის თვენახევრის პატარა ელოდებოდა.

ერეკლე დანელია სიკვდილის მერე დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით. იგი დაკრძალულია საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე.

გთხოვთ, ამ გმირი ბიჭის, ერეკლე დანელის სახელი მიანიჭოთ საბურთალოზე რომელიმე ქუჩას. არა მისთვის, არა თანამებრძოლებისთვის, არა ოჯახის წევრებისთვის არამედ, მომავალი თაობისთვის!

ᲓᲣᲑᲚᲘᲐᲢᲘ

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲝᲠᲒᲐᲡᲚᲘᲡ
II ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ
ᲝᲠᲓᲔᲜᲘ

00160

.....ᲔᲠᲔᲙᲚᲔ.....

.....ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲐ.....

საქართველოს პრეზიდენტის

1994 წ. „23 აგვისტოს № 269

ბრძანებულებით დაჯილდოვდა

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲝᲠᲒᲐᲡᲚᲘᲡ
II ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ
ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ

00081

საქართველოს პრეზიდენტი

დუბლიკატი

მედალი
„მხედრული
მამაცობისათვის"

01369

ერეკლე

დანელია

საქართველოს პრეზიდენტის

1993 წ. „14" ივლისის № 85

ბრძანებულებით დაჯილდოვდა

მედლით
„მხედრული
მამაცობისათვის"

საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს რესპუბლიკის მაშველთა კორპუსი

GEORGIAN RESCUE CORPS

№ 747 . 4 . 07 1994 წ.

საბრძოლო მოკვლევა

ერეკლე ჯიმის ძე დანელია, საქართველოს მხედრიონის წევრი 1992 წლიდან, "ვახტანგ ვორგასლის" II ხარისხის ორდენის კავალერი, დაიღუპა 1993 წ. 22 სექტემბერს ქ.სოხუმის აეროპორტში თვითფრინავის აფეთქების შედეგად. ერეკლე დანელიამ ბოლომდე იბრძოლა, დაეხმარა რამოდენიმე თანამებრძოლს და ვადაარჩინა ისინი ვარდაუვალი დაღუპვისაგან, თვითონ კი შეეწირა.

დასაფლავებულია საბურთალოს საძმო სასაფლაოზე.

თბილისის "მხედრიონის"
ჯგუფი "ვაჩეს" ხელმძღვანელი

გ.გელოვანი.

27/IX-93 [illegible]

СВИДЕТЕЛЬСТВО О СМЕРТИ
გარდაცვალების მოწმობა

Гражданин (ка) / მოქალაქე: ლანდია
фамилия — გვარი,

[illegible] [illegible] [illegible]
имя, отчество — სახელი, მამის სახელი

умер (ла) / გარდაიცვალა: 22.09 93 ათას ცხრას ოთხმოცდა- ცამეტი წლის ოცდაორ სექტემბერს
число, месяц, год — რიცხვი, თვე, წელი
(цифрами и прописью — ციფრებით და სიტყვებით)

в возрасте / წლის ასაკში: 36 лет, о чем в книге регистрации актов о смерти / რაზეც გარდაცვალების აქტების სარეგისტრაციო წიგნში

19 93 года / წელს 09 месяца / თვეს 27 числа / რიცხვს

произведена запись за / მოხდენილია ჩაწერა № 9251

Причина смерти / გარდაცვალების მიზეზი: [illegible]

Место смерти: город, селение / გარდაცვალების ადგილი: ქალაქი, სოფელი: აფხაზეთი

район / რაიონი

область, край / ოლქი, მხარე

республика / რესპუბლიკა

Место регистрации / რეგისტრაციის ადგილი: [illegible]
наименование и местонахождение органа ЗАГСа — ჩაწერის ორგანოს დასახელება და ადგილსამყოფელი

Дата выдачи / გაცემის თარიღი: 27 09 1993 г. / წ.

Заведующий отделом (бюро) записи актов гражданского состояния / მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის განყოფილების (ბიუროს) გამგე: [signature]

IV-ТИ № 310142

МТ Гознака. 1984. Грузинский яз.

სსიპ
ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახური
საქართველო, ქ. თბილისი 0114, გორგასლის ქ. 75
ტელ: (+995 32) 248 16 26, ელ-ფოსტა: info@veterans.gov.ge

LEPL
State Service of
Veterans Affairs
75 Gorgasali str., Tbilisi 0114, Georgia
Tel: (+995 32) 248 16 26, E-mail: info@veterans.gov.ge

SSVA 00010723

24/05/2021

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ მიხეილ ამაშუკელს

ბატონო მიხეილ,

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში 2021 წლის 19 მაისს შემოსული თქვენი №10473 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ ერეკლე დანელია ნამდვილად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა და სამშობლოსათვის თავდადებულმა მებრძოლმა.

სამსახურის ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ომში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსით რეგისტრირებულია ერეკლე დანელიას მეუღლე ნინო დანელია, საინდენტიფიკაციო კოდით: 102 501 0156.

„სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ერეკლე დანელიას დამსახურებიდან გამომდინარე, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური თანახმაა, რომ მისი სახელი მიენიჭოს ერთ-ერთ ქუჩას ქ. თბილისში.

პატივისცემით,

სამსახურის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

საქმისწარმოება
ელექტრონული დოკუმენტის
მატერიალური ასლი
24.05.21

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032113772**
თარიღი: **17/05/2021**
პინი: **2970**

ადრესატი: სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური
მისამართი: ვახტანგ გორგასლის ქ.#75

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ მიმდინარე წლის 30 მარტს განიხილა საერთაშორისო ასოციაცია "დაიცავი შენი წილი სამშობლოს" თავმჯდომარის დოდო გუგეშაშვილის #10/032108967-03 წერილი, რომლითც ითხოვდა თბილისში ერთ-ერთ ქუჩას მინიჭებოდა აფხაზეთში დაღუპული მებრძოლის ერეკლე დანელიას სახელი.

მოგმართავთ თხოვნით, გაგვაცნოთ თქვენი პოზიცია ხსენებულ სახელდებასთან დაკავშირებით.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0122094196**
თარიღი: **04/04/2022**
პინი: **2067**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 22.03.2022 წლის #03-032208122 (22.03.2022წ. #14-01220812653-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი